2011 წ.	ბათუმის „სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის“. თემა - „მოდერნის სტილის არქიტექტურა, თბილისისა და ბათუმის მაგალითზე“.
2011 წ.	თეატრისა და კინოს მუზეუმი. სტაჟიორი ბიბლიოთეკის განყოფილებაში.
2011 წ.	ევროპელი სკოლა. ხელმძღვანელი საკურსო თემაზე „ანჩისხატი“.
2009 წ.	თსსა – „ქვა, ქაღალდი, მაკრატკლი“ – ბრიტანეთის საზღვოს კოლექციის გამოფენის workshop მონაწილე.

2008 წ.	სასწავლო პრაქტიკა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტში.
ენები	
ქართული	მშობლიური
ინგლისური	კარგად CALLAN METHOD Certificate stage 7
რუსული	საშუალოდ
იტალიური	დაწყებითი A2
კომპიუტერული პროგრამები	
Microsoft Office	
Internet	
ArchiCAD	
AutoCAD	

ვიტალი ნაზაროვი

ხმელნიცკის ქუჩა 44 „ა“

საქართველო

0136 თბილისი

ტელ: (995 32) 79 10 76

მობ: (995 93) 39 31 55

ელ.ფოსტა: vivanazarone@mail.ru

პირადი ინფორმაცია

- ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
- სქესი: მამრობითი
- დაბადების თარიღი: 27.05.1951
- დაბადების ადგილი: თბილისი

განათლება

1973-1980 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი

(სამრეწველო და ქალაქგეგმარებითი მშენებლობის ფაკულტეტი)

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია 1980

მაგისტრის ხარისხი ქალაქ-გეგმარებით მშენებლობაში.

თელავის ღვინის ქარხნის პროექტირება, ხარჯთაღრიცხვა, არქიტექტურა, ვენტილაცია.

მუშაობის გამოცდილება

შ.პ.ს. „ტოპ“ - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები

ტექნიკური განყოფილების ინჟინერი შ.პ.ს. „მ & ნ“

2006-დღემდე

ქალაქგეგმარებითი ინჟინერია - „კარიტას საქართველო“

2004-დღემდე

დაგეგმარებისა და ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი

1989-2004

„სპეცრემდიზაინმშენი“

დაგეგმარებისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის უფროსი

1980-1989

სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების საბჭოში

კულტურის სამინისტროში

ქალაქგეგმარებითი ინჟინერიის სამშენებლო დეპარტამენტში 1975-1980

ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტი და მრჩეველი სამშენებლო საქმიანობაში.

შესრულებული სამუშაოები

- კარიტასის ახალგაზრდული ცენტრი
- სარემონტო სამუშაოები ისტორიული ძეგლები: იყალთოს მონასტერი, უბისის მონასტერი, სომხური კათედრალი თბილისში, ვარძის ისტორიული კომპლექსი.
- მიწისძვრით დაზიანებული საბავშვო ბაღებისა და სკოლების ზედამხედველობა
- ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენითი სამუშაოები, ფასადის მოპირკეთება.
- სამხატვრო აკადემიის აღდგენითი სამუშაოები
- რუსთაველის თეატრის სრული რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- სახელმწიფო კონსერვატორიის რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია
- ქუთაისში კალათბურთის სპორტული კომპლექსის ხარჯთაღრიცხვა
- საცურაო აუზების და სპორტული დარბაზების ხარჯთაღრიცხვა: გურჯაანი, საგარეჯო, მესტია, ლანჩხუთი, ჭიათურა.
- სასტუმრო გუდაურში

ენები

- ქართული-კარგად
- რუსული-კარგად
- სომხური-კარგად
- ინგლისური-საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

- Microsoft Excel, Microsoft Word
- Archicad

CURRICULUM VITAE

ტასო ფოცხიშვილი

პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი	14.02.1989
მისამართი	დ.უზნაძის ქუჩა №2, თბილისი
E-mail	tasopotskhishvili@gmail.com
Tel.	+ (995 99) 50 50 56

განათლება

თარიღი	2012წ. – დღემდე
სასწავლო დაწესებულება	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ფაკულტეტი	რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, მონუმენტური მხატვრობის რესტავრაცია - კონსერვაციის სპეციალობა
საფეხური	მაგისტრატურა
თარიღი	2008წ. – 2012წ.
სასწავლო დაწესებულება	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ფაკულტეტი	რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, დამზადებული მხატვრობის რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობა
საფეხური	ბაკალავრი
თარიღი	2004წ. – 2008წ.
სასწავლო დაწესებულება	თბილისის დ.გურამიშვილის სახელობის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი
ფაკულტეტი	გამოყენებითი ხელოვნება
საფეხური	ბაკალავრი
თარიღი	1995წ. – 2004წ.
სასწავლო დაწესებულება	თბილისის გურამ რამიშვილის საავტორო საშუალო სკოლა

სამუშაო გამოცდილება

- 2012-2013 ვარძიის კედლის მხატვრობის კონსერვაცია ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის კონსერვაციის დეპარტამენტი თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.
მონაწილე
- 2012-2013 ონის, ქუთაისის, ყვარელის, ხაშურის, ცაგერის, გორის მუზეუმების ექსპონატების კონსერვაცია
მონაწილე
- 2013 მარიამხევის (იგივე მარიამწმინდის) ეკლესიის (გორის მუნიციპალიტეტი) კედლის მხატვრობის პირველადი, გადაუდებელი საკონსერვაციო და სრული საკონსერვაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მონაწილე
- 2013 გელათის წმ. მარინეს ეგვდერისა და სამხრეთი კარიბჭის მოხატულობის კონსერვაცია. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი. ამერიკის ელჩის გრანტი
მონაწილე
- 2012 იკვის კედლის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მონაწილე
- 2012 ატენის სიონის საამშენებლო მასალის მდგომარეობის შეფასება, ლაბორატორიული კვლევა და კონსერვაცია სამხრეთ შვეიცარიის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი (SUPSI) თანამონაწილეობით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მონაწილე
- 2011 ნიკორწმინდის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მონაწილე

ენების ცოდნა

ქართული	მშობლიური
ინგლისური	კარგად
რუსული	თავისუფლად

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD

Photoshop

Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint)

დამატებითი ინფორმაცია

2011	ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია
2010	მონაწილე Degree and Profession Florence World Regional Festival, Tbilisi 2010 Workshop of Ketii Kavtaradze "Creative Shibori"

CURRICULUM VITAE

გიორგი ტრაპაიძე

პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი	08.05.1992
მისამართი	ს. ცინცაძის ქ. №30ა, III ს. ბ. №52, თბილისის, საქართველო
E-mail	giorgi.trapaidze@yahoo.com
ტელეფონი	+(995 68) 320 530

განათლება

თარიღი	2010წ. - დღემდე
სასწავლო დაწესებულება	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ფაკულტეტი	რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობა
საფეხური	ბაკალავრიატი
თარიღი	1998წ. – 2010წ.
სასწავლო დაწესებულება	№1 ექსპერიმენტალური სკოლა

სამუშაო გამოცდილება

2011	საქართველოს მემკვიდრეობა. ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ღების დუროიანი სახლის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)
2011	საქართველოს მემკვიდრეობა. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის თუშმაღიშვილების საგვარეულო კოშკის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)
2011	საქართველოს მემკვიდრეობა. დუშეთის მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სასამართლოს რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)
2012	ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღონისძიებების ფარგლებში ტაძრის სამშენებლო მასალის მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული კვლევა კვლევითი ჯგუფის წევრი
2012	საქართველოს მემკვიდრეობა. ასპინძის მუნიციპალიტეტის ვანის ქვაბების გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)

2012	საქართველოს მემკვიდრეობა. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშას ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)
2012	საქართველოს მემკვიდრეობა. ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა, ფინანსური ხარჯთაღრიცხვა.
2012	საქართველოს მემკვიდრეობა. გელათის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის კორექტირება.
2012	თბილისის მეტეხის ტაძრის სარეაბილიტაციო

ღონისძიებების ფარგლებში მასალის მდგომარეობის

შეფასება და ლაბორატორიული კვლევა, კვლევითი

ჯგუფის წევრი.

ენების ცოდნა

ქართული	მშობლიური
ინგლისური	თავისუფლად
რუსული	საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Windows (xp, vista, 7)

Linux

Microsoft Office

PHP (Web programing)

HTML(Web design and programing)

Web Server Management

AutoCAD

Photoshop

Adobe Dreamweaver

სადემონსტრაციო მასალა



არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაცია




ძეგლის ფოტოფიქსაცია



I) პანორამული ხედი



II) ეკლესიის საერთო ხედი



III) მთავარი ეკლესია



IV) დაზიანებული გუმბათის ფრაგმენტი




V) დაზიანებული ქვის წყობა



VI) მთავარი ეკლესია



VII) ეკლესიის საერთო ხედი



VIII) მცირე ეკლესია



IX) მცირე ეკლესია საერთო ხედი



X) თამარ მეფის ფრესკა ინტერიერში



XI) პანორამული ხედი

სახელოვნებათმცოდნეო კვლევა



სახელოვნებათმცოდნეო კვლევა



ბეთანია, რომელიც თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 18 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, არქიტექტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს წარმოადგენს. აქ, მდინარე ვერეს ტყიან ხეობაში, დასახლებული ტერიტორიიდან მოშორებით, სამონასტრო კომპლექსია განთავსებული, რომელიც შედგება XII-XIII საუკუნეების მიჯნით დათარიღებული ჯვარგუმბათოვანი ტაძრისაგან, წმ. გიორგის სახელობის მცირე ეკლესიისაგან და ბერების სენაკებისგან.


ბეთანიის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, კომპლექსის მთავარი ნაგებობა, XII-XIII საუკუნეების გუმბათოვანი ტაძრებს შორის, (მაგ: ქვათახევი, ფიტარეთი...) ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ტაძარი თამარ მეფის მეფობის ხანაში აიგო, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების პერიოდში. ისტორიული ცნობების თანახმად ამ ადგილას, მანამდეც ყოფილა, სავარაუდოდ X საუკუნეში, აგურისაგან აგებული სალოცავი.¹

ბეთანია დიდი ხნის მიტოვებული და დავიწყებული იყო. XIX ს-ის შუა წლებში ტაძარი კვლავ აღმოაჩინეს, ხოლო XIX ს-ის ბოლოს აღადგინეს კიდევაც.

¹ ვახტანგ ცინცაძე – ბეთანია, აღდგენა გამაგრების პროექტი. 1974 წელი.

აღწერა



ამ პერიოდის ეკლესიებისათვის დამახასიათებელია გეგმისა და შიდა სივრცის ახლებური გადაწყვეტა. გეგმის მხრივ ჩანს კვადრატულობისაკენ მიახლოვების ტენდენცია. იცვლება ნაგებობის პროპორციები და ფასადთა შემკულობა.²

ბეთანიის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი გეგმაში კვადრატს

უახლოვდება. გუმბათი 2 თავისუფლად მდგარ სვეტსა და აღმოსავლეთით, საკურთხეველის კედლებთან შერწყმულ, 2 ბურჯს ეყრდნობა. ნალისებრი ფორმის საკურთხეველი გუმბათქვეშა კვადრატისაგან ბემით არის გამოყოფილი. საკურთხეველში გაჭრილია სამი სარკმელი. გვერდითა ოთახებშიც ნალისებრ დაბოლოებას ვხვდებით. ჩრდილოეთით მდებარე გვერდითა ოთახში ერთი, ხოლო სამხრეთის ოთახში ორი სარკმელია გაჭრილი. მთავარი, შესასვლელი კარი, სამხრეთითაა მოთავსებული, რომლის წინაც, ვარსკვლავისებური გადახურვით, კარიბჭეა მოწყობილი. შესასვლელი კარია ასევე დასავლეთ მხარეს, რომელსაც წინ აგურის გვიანდელი მინაშენი აქვს.



მაღალი მხატვრული შესრულებით გამოირჩევა ტაძრის ფასადთა შემკულობა. ფასადების მორთულობა წინა ეპოქის ძეგლებთან შედარებით, (მაგ: სამთავისი) უფრო სადა და ლაკონურია. დეკორი ძირითადად განლაგებულია კარ-სარკმლების ირგვლივ.

მთავარი ყურადღება ექცევა ფასადებზე სარკმელთა განაწილებასა და ორნამენტული

² ციციშვილი ირაკლი. „ქართული ხელოვნების ისტორია“. (განვითარებული ფეოდალიზმი, ბეთანია.) თბ: 1995 წელი.

აქცენტების შექმნას. აღმოსავლეთ ფასადზე ტრადიციულ სამკუთხა ნიშებს ეხედებით. აქ ცენტრალური სარკმელი და ნიშები თაღოვანი დეკორით ერთ კომპოზიციად არის გაერთიანებული. სარკმლის ზემოთ მოთავსებულია ჯვარი და ორნამენტირებული მრგვალი სარკმლის მედალიონი. თაღებით არის გაფორმებული ასევე სამხრეთით მდებარე კარიბჭე.

დამახასიათებელი მოტივია დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადთა შეწყვილებული სარკმლები დამატებითი მრგვალი სარკმლით მათ ზემოთ ან გრძელი მოჩუქურთმებული ჯვრით მათ შუა.³



დასავლეთი ფასადი. შეწყვილებული სარკმელი



ჩრდილოეთ ფასადი. შეწყვილებული სარკმელი

უხვი დეკორით არის გაფორმებული ცილინდრული ფორმის გუმბათის მაღალი ყელი, სადაც თორმეტი სარკმელია განლაგებული. თითოეული მოჩუქურთმებულია და ერთმანეთთან უწყვეტი თაღოვანი დეკორითაა დაკავშირებული.



³ ვახტანგ ბერიძე „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“. თბ. 1974. გვ. 152-153;

მხატვრობა



ტაძარში ძალიან მნიშვნელოვანი XIII საუკუნით დათარიღებული კედლის მხატვრობაა შემორჩენილი. თუმცა მისი დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში დაზიანდა. მხატვრობა ძირითადად შემორჩენილია

ჩრდილოეთისა და სამხრეთ კედლებზე. საქართველის კონკში გამოსახული იყო ევდრების კომპოზიცია, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტიღაა დარჩენილი. კონქის ქვემოთ წინაწარმეტყველთა ფიგურებია წარმოდგენილი. ასევე ტაძრის ინტერიერში გამოსახულია საუფლო სცენები. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩრდილოეთ კედელია, სადაც თამარის რიგით მეორე პორტრეტს ვხვდებით, თუმცა ამჯერად მამასთან, გიორგი III-ესთან და შვილ, ლაშა-გიორგისთან ერთად.

არქიტექტურული მდგომარეობა

ტაძარი, როგორც XIX საუკუნის საარქივო ფოტოებიდან ჩანს, დანგრევის პირას იყო მისული, თუმცა ის ამავე საუკუნეში ბერებს თავიანთი ძალებით აღუდგენიათ. XIX საუკუნის „რესტავრაციამ“, რომელიც მამა სფირიდონის ხელმძღვანელობით ჩატარდა, ეკლესიის თავდაპირველი სახე შეცვალა. საგრძნობლად დადაბლებული იყო ჯვრის მკლავები და გუმბათის გადახურვის

გადაიხურა. გუმბათის დაზიანებული ნაწილები უსისისტემოდ შეივსო ძველი ჩუქურთმიანი ქვებით.⁴



ბეთანია - XIX საუკუნე



აღდგენილი. ბეთანია - 1920-იანი წლები.

⁴ „არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში“ გვ. 66 – ირინე ელიზბარაშვილი, მანანა სურამელაშვილი, ციციხე ჩახუნაშვილი, ხათუნა ჭურდულია; თბ. 2012 წელი.

მოგვიანებით ძეგლზე, XX საუკუნის 70-იან წლებში, არქიტექტორ-რესტავრატორ ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით, კვლავ ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის შედეგადაც ტაძარს თავდაპირველი სახე დაუბრუნდა.



აღდგენის დროს ეკლესიის მოედან პერიმეტრზე მოეწყო კარნიზი, აღდგა თავდაპირველი ქანობები, გუმბათის გადახურვა. თლილი ქვის კვადრებით შეივსო წყობა, როგორც ჯერის მკლავების ფრონტონის ფარგლებში, ასევე გუმბათის ყელზე.

ასევე თლილი ქვის კვადრებით ჩანაცვლდა აგურით შევსებული ადგილები. ინტერიერში მოწესრიგდა იატაკი, რომელიც ფიცრების ფენილის აყრის შემდეგ დადაბლდა და მოიკირწყლა ქვის ფილებით.⁵

ამჟამად ტაძრის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა დაზიანებულია საპირე წყობის ქვები. სამშენებლო მასლად გამოყენებულია ტუფოქვიშაქვისა და ტუფის კვადრები. საპირე წყობა, ზოგ შემთხვევაში, ფასადებზე, ერთმანეთისგან დაცილებულია. ქვაზე შეიმჩნევა ეროზია, დელამინაცია და სხვა ტიპის დაზიანებები.



გუმბათის დაზიანებული საპირე წყობა



ერთმანეთისგან დაცილებული საპირე წყობა

⁵ „არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში“ გვ. 66



დაზიანებული ცოკოლი



მხატვრობაზე განვითარებული ბზარი

ბეთანიის ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის არქიტექტურაში წარმოჩენილია XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში საკულტო არქიტექტურაში ჩამოყალიბებული ახალი ტენდენციები. ამ პერიოდის ძეგლებში, როგორ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ტაძრის გეგმა დამოკლდა და კვადრატს მიუხალოვდა, ოთხი ცალკე მდგომი ბურჯის ნაცვლად დარჩა ორი, აღმოსავლეთის სვეტები კი საკურთხეველის კედლებთანაა შერწყმული. დასავლეთ მკლავში ბოძების ნაცვლად თაღოვანი მალეობა გამოყენებული. შეიცვალა ასევე პროპორციები, შენობის კორპუსი შედარებით დადაბლდა, ხოლო გუმბათის ყელი კიდევ უფრო დაგრძელდა. ასევე უნდა აღინიშნოს ფასადთა შემკულობაც, სადაც დამახასიათებელია უხვი ორნამენტით შემკული შეწყვილებული სარკმლები.

ბეთანიის ტაძარი, ამ პერიოდის ტაძრებს შორის, ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, ამიტომაც განსაკუთრებული მხატვრულ-ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე მისი დაცვა აუცილებელია.

რეკომენდაციები:

1. ნაგებობა დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექების დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან.
2. ეკლესიის სამშენებლო მასალის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია ქვის გამოკვლევა (მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზი) და მკურნალობის მეთოდის განსაზღვრა.
3. სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების პერიოდში გამოყენებული მასალა თავსებადი უნდა იყოს არსებულთან.

4. სამუშაოები უნდა ჩატარდეს არქიტექტორ-რესტავრატორის, კონსტრუქტორისა და მიწის სამუშაოების შემთხვევაში არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ.
5. შენარჩუნებული უნდა იყოს ძეგლის მხატვრული ღირებულება.

ბიბლიოგრაფია:

1. ციციშვილი ირაკლი. „ქართული ხელოვნების ისტორია“. (განვითარებული ფეოდალიზმი, ბეთანია.) თბ; 1995 წელი.
2. პარმენ ზაქარაია. ბეთანია. (XIII საუკუნის დასაწყისი) –თბ. 1959 წ.
3. ვახტანგ ბერიძე „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“. თბ. 1974. გვ. 152-153;
4. პარმენ ზაქარაია, ქართული ხუროთმოძღვრება XI-XIII სს. თბ. 1990 წ. გვ. 57-72 (XII საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის პირველი მესამედის ხუროთმოძღვრება ბეთანია); შალვა ამირანაშვილი. „ხელოვნების ისტორია“ – ბეთანია; თბ. 1971 წ. გვ. 267-270
5. „არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში“ – ირინე ელიზბარაშვილი, მანანა სურამელაშვილი, ციციშვილი ჩაჩხუნაშვილი, ხათუნა ჭურღულია; თბ. 2012 წელი.
6. ვახტანგ ცინცაძე – ბეთანია, აღდგენა გამაგრების პროექტი. 1974 წელი.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევა



საინჟინრო გეოლოგიური კვლევა

შესავალი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიზანს წარმოადგენდა, როგორც ტაძრის განთავსების ადგილის ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური პირობების, ასევე ეკლესიის ფიზიკური მდგომარეობის და დაფუძნების პირობების დადგენა.

ბეთანიის მონასტერი მდებარეობს ქ. თბილისის დასავლეთით, ნასოფლარ კვესეთთან, მდ. ვერესხეობის მარჯვენა ნაპირზე.

ბეთანიის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც აგებულია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. მონასტერი ორი ეკლესიისგან შედგება – წმინდა გიორგის სახელობის მცირე ბაზილიკა და ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ეკლესია.

საკვლევი ტერიტორია, რომელიც მდ. ვერეს ხეობის ჭალაში მდებარეობს, წარმოადგენს ტერასულ რელიეფს. საკვლევი უბანი ხასიათდება ჩრდილოეთი მიმართულების მცირე ქანობით. უშუალოდ ტაძრის განთავსების უბანზე მიწის ზედაპირის ნიშნულები მერყეობენ 799 – 800 მ-ის ფარგლებში.

1. საკვლევი რაიონის ბუნებრივი პირობები

საკვლევი ტერიტორია განთავსებულია ზომიერად კონტინენტური კლიმატის ოლქში და ხასიათდება მშრალი, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით.

იანვრის საშუალო ტემპერატურა 0.5°C , ხოლო ივნისის 24.1°C , მინიმალური ტემპერატურა დაიკვირვება იანვარში – 25°C , მაქსიმალური აგვისტოში $35-36^{\circ}\text{C}$, ზოგჯერ 40°C .

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა თითქმის ერთნაირია მთელი რაიონისათვის. ტენიანობის საშუალო წლიური მნიშვნელობა 65 %. მაქსიმალური ტენიანობა იანვარში, მინიმალური – ზაფხულის თვეებში.

ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 560-780 მმ-ის ფარგლებში. წლიური მაქსიმუმი ემთხვევა გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისს (მაისი-ივნისი), ხოლო მინიმუმი – იანვარს.

გეოლოგიური ჭრილი განაპირობებულია მესამეული ასაკის ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით. მათ მიერ წარმოქმნილი ძლიერ დანაწევრებული პალეორელიეფი გადაფარებულია მძლავრი თანამედროვე მეოთხეული დელუვიურ-პროლოვიური და ელუვიური გენეზისის რბილშეკავშირებული გრუნტებით. ტერიტორიაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად დაგროვილი - ტექნოგენური წარმონაქმნები.

გრუნტის წყლები, როგორც წესი ძირითადი ქანების და მეოთხეული საფარის კონტაქტზე დაიკვირვება.

წყლების მოძრაობის ძირითადი მიმართულებაა ადგილობრივი ეროზიის ბაზისი – მდ. ვერეს ხეობა. ისინი იკვებებიან ატმოსფერული ნალექებით.

2. საკვლევი ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება, მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, სამხრეთ ქვეზონას.

საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ოლქის, პალეოგენ-ნეოგენის პიროკლასტური და ქვიშაქვოვან-სუბარგილიტური, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანების რაიონის, მანგლის-თბილისის ქვერაიონს და წარმოდგენილი არიან: მერგელებით, არგილიტებით და ქვიშაქვებით.

საკვლევი ტერიტორიაზე, ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად გაყვანილ იქნა 4 სამთო გამონამუშევარი: №1 შურფჭაბურღილი ტაძრის სამხრეთით ცენტრალურ მოედანზე, სიღრმით 4.0 მ; №2 შურფ-ჭაბურღილი სიღრმით 3.0 მ. საძვალეში; №3 შურფი სიღრმით 2.5 მ. ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან; №4 შურფი სიღრმით 2.5 მ. ტაძრის დასვლეთ კედელთან; გამონამუშევრების საერთო სიღრმემ შეადგინა 12.0 გრძ/მ.

№1 და №2 შურფები გაყვანილი იქნა მთავარი ტაძრის კედლების დანესტიანების მიზეზის დასადგენად. გრუნტის წყლის დონის განსაზღვრისთვის განხორციელდა შურფებში ჩაბურღვა ხელბურღით, თუმცა სახედასხვა ნიშნულებზე გაყვანილი ამ ჭაბურღილებით გრუნტის წყლები არ გადაკვეთილა, რაც იმას მიგვანიშნებს რომ კედლების დატენიანების ძირითადი მიზეზი ზედაპირული წყლებია, რომელიც წვიმის დროს ტბორავს ტაძრის წინა სამხრეთ ვაკე ტერიტორიას, აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კედლები ძლიერ სველდება სახურავიდან ჩამომდინარე წყლებითაც.

№3 და №4 შურფებით გაშიშვლებულ იქნა ტაძრის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლები. ორივე შურფი აღწერილობით თითქმის იდენტურია. ზედაპირიდან 2.4 სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური გრუნტი (ნაყარი), რომელიც წარმოდგენილია თიხნარით ხვინჭის და ღორღის ჩანართებით 20%-მდე. ტაძრის კედელი მიწის ზედაპირიდან 0.2 მ-ზე ჩაღრმავების შემდეგ, 0.25 მ. გაფართოებით, ყორექვის წყობით კირის დუღაბზე, 2.4 მ-ზე დაფუძნებულია ელუვიურ ქვიშნარზე.

საკვლევი ტერიტორიაზე ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე გამოიყო 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

სგე 1 – ტექნოგენური ფენა (ნაყარი) წარმოდგენილია მუქი ყავისფერი მაგარი კონსიტენციის თიხნარით, ხვინჭის, ღორღის და საყოფაცხოვრებო ნარჩენების (აგურის, კერამიკის, ნახშირის ნატეხები) ჩანართებით 20%-

მდე. რადგან ტექნოგენური ფენა არ წარმოადგენს შენობა ნაგებობების დაფუძნების გრუნტს, მისი ლაბორატორიული კვლევა არ ჩატარებულა

სგვ 2 – ქვიშნარი, მონაცრისფრო-ყავისფერი, კარბონატული, დიდი რაოდენობით ხვინჭის (21%) და ღორღის (20%) ჩანარებით, თიხური და მტვროვანი ფრაქციის შემცველობა 23.4%, ქვიშური 35.6; ქვიშნარის სიმკვრივე ბუნებრივ მდგომარეობაში $\rho = 2.21$ გ/სმ³; მინერალური ნაწილის სიმკვრივე $\rho_{\text{მ}} = 2.70$ გ/სმ³; ჩონჩხის – $\rho_{\text{ჩ}} = 1.97$ გ/სმ³; ბუნებრივი ტენიანობა $W = 11.2\%$; ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე $W_L = 19\%$; დენადობის ზღვარზე $W_p = 19\%$; პლასტიკურობის რიცხვი $I_p = 6\%$ (ქვიშნარი); კონსისტენციის მაჩვენებელი $I_L < 0$ (მაგარი).

3. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები

ეკლესიის საძირკველი ლენტური ტიპისაა (ყორე ქვის წყობა კირის დუღაბზე). საძირკველი ჩაღრმავებულია 2.4 მ. სიღრმეზე და დაფუძნებულია ელუვიურ მაგარი კონსისტენციის კარბონატულ ქვიშნარზე

ბეთანიის მონასტრის მთავარი ტაძარი ფორმით სწორკუთხედიან, გუმბათი ოდნავაა გადანაცვლებული აღმოსავლეთისაკენ და მნიშვნელოვნადაა ზემოთ აზიდული. ტაძარი გარედან მოპირკეთებულია თლილი ქვით, ხოლო კედლებისა გუმბათის ყელის აგურის წყობა, გვიანდელი რესტავრაციის დროინდელია. ნაშენია ტუფოქვიშაქვებისა და ტუფის თლილი ბლოკებით.

წვიმის დროს საკვლევ ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების ჩამოდინება იწვევს ტერიტორიის თითქმის პორიზონალური ვაკე ზედაპირის დატბორვას. ტექნოგენურ გრუნტში წყალი ინფილტრაციის შემდეგ, იჟონება ელუვიურ კარბონატულ ქვიშნარში. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე სუფოზიური პროცესები ხელს უწყობს მთავარი ტაძრის ფუძე გრუნტების სიმტკიცის შესუსტებას, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ტაძრის აღმოსავლეთ კედელის უმნიშვნელო დეფორმაცია (არსებული ბზარი, ამ პროცესებთან არის დაკავშირებული).

ეკლესიის კედლების (ნაშენია ტუფოქვიშაქვებითა და ტუფით) სიმტკიცე დასუსტებულია (იშლება ხელის შეხებითაც). განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ტაძრის კედლები ქვედა ნაწილში. ამის ერთერთი გამომწვევი მიზეზი როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული სახურავიდან ჩამომდინარე და ზედაპირული წყლებია, მაგრამ ძირითად მიზეზად ალბათ მათი ასაკი და ძლიერი თერმული პროცესებია, რომელიც ცალკე კვლევის საგანია.

საკვლევ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს ხელოვნურად დატერასებულ რელიეფს, საშიში გეოდინამიკური პროცესები განვითარებული არ არის.

საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილი შურფების აღწერის და ტერიტორიის ეიზუალური დათვარიელების შედეგები გვიჩვენებენ, რომ ტექნოგენურ-კულტურული ფენის მრავალფეროვნება მოითხოვს დამატებით კვლევას, რომლისთვისაც სასურველი იქნებოდა წინასწარი გეოფიზიკური სამუშაოების

ჩატარება, რის შედეგადაც მთელ დადგინდებოდა სამონასტრო კომპლექსის მთელ ტერიტორიაზე კულტურულ-ტექნოგენური ფენის სიმძლავრეები და გავრცელების საზღვრები.

4. დასკვნები და რეკომენდაციები

1. საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება, მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, სამხრეთ ქვეზონას.
2. საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ოლქის, პალეოგენ-ნეოგენის პიროკლასტური და ქვიშაქვოვან-სუბარგილიტური, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანების რაიონის, მანგლის-თბილისის ქვერაიონს და წარმოდგენილი არიან: ქვიშაქვებით, არგილიტებით და მერგელებით;
3. ტაძრის განთავსების ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით სწ და წ 1.02.07-87 დანართი 10-ის მიხედვით მიეკუთვნება I მარტივი სირთულის კატეგორიას;
4. საკვლევ ტერიტორიაზე გამოყოფილ იქნა 2 სგე:

სგე 1 – ტექნოგენური ფენა (ნაყარი გრუნტი) მუქი ყავისფერი მაგარი კონსისტენციის თიხნარით, ხვინჭის, ღორღის და საყოფაცხოვრებო ნარჩენების (აგურის, კერამიკის, ნახშირის ნატეხები) ჩანართებით 20%-მდე. სგე 2 – ქვიშნარი, მაგარი კონსისტენციის, მონაცრისფრო-ყავისფერი, კარბონატული, დიდი რაოდენობით ხვინჭის და ღორღის ჩანართებით.

სგე 2 – ელუვიური გენეზისის ქვიშნარი, მონაცრისფრო-ყავისფერი, კარბონატული, დიდი რაოდენობით ხვინჭის (21%) და ღორღის (20%) ჩანართებით, თიხური და მტვროვანი ფრაქციის შემცველობა 23.4%, ქვიშური 35.6; ქვიშნარის სიმკვრივე ბუნებრივ მდგომარეობაში $\rho = 2.21$ გ/სმ³; მინერალური ნაწილის სიმკვრივე $\rho_{\text{მ}} = 2.70$ გ/სმ³; ჩონჩხის – $\rho_{\text{ჩ}} = 1.97$ გ/სმ³; ბუნებრივი ტენიანობა $W = 11.2\%$; ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე $W_L = 19\%$; დენადობის ზღვარზე $W_p = 19\%$; პლასტიკურობის რიცხვი $I_p = 6\%$ (ქვიშნარი); კონსისტენციის მაჩვენებელი $I_L < 0$ (მაგარი). სგე 2 წარმოადგენს ტაძრის დაფუძნების გრუნტს და მისი მექანიკური თვისებების ნორმატიული მახასიათებლებია: შეჭიდულობა $c = 0.22$

კგ/სმ²; შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=31^0$; დეფორმაციის მოდული $E=320$ კგ/სმ²; საანაგარიშო წინაღობა $R_0=3.0$ კგ/სმ².

5. სამთო გამონამუშევრებით გრუნტის წყლები არ გადაკვეთილა.
6. წვიმის დროს ზედაპირული წყლების ჩამოდინება იწვევს ტერიტორიის დატბორვას, ამიტომ მთავარი ტაძრის დატენიანებისგან დასაცავად აუცილებელია პორიზონტალური დრენაჟის მოწყობა.
7. ტაძრის კედლებში გაჩენილი ბზარების და დეფორმაციების წარმოშობის მიზეზი შესაძლებელია იყოს ზედაპირული წყლების ტექნოგენურ გრუნტში ინფილტრაციის შემდეგ, ნაგებობის ფუძე გრუნტში – ელუვიურ გენეზისის ქვიშნარში კარბონატული მარილების გამორეცხვის (სუფოზიური პროცესები) გამო გრუნტის სიმტკიცის შესუსტება (არსებული ბზარი, ამ პროცესებთან არის დაკავშირებული).
8. ზედაპირული წყლების დრენირების შემდეგ, სასურველია მოხდეს ტაძრის საძირკვლის გაძლიერება.
9. სნ და წ IV-2-82 მიხედვით გრუნტები განეკუთვნებიან დამუშავების სირთულის შემდეგ ჯგუფებს:
სგე 1 – 33ბ, III კატ. 1950 კგ/მ³, 1:1;
სგე 2 – 34ბ, II კატ. 1850 კგ/მ³, 1:1;
10. საპროექტო-სამშენებლო ნორმატივის – პნ 01.01-09 „სეისმომდებელი მშენებლობა“-ს მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მდებარეობს სეისმური საშიშროების 8 ბალისანი ზონის ფარგლებში.
11. კლიმატის საპროექტო მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები მეტ.პუნქტების: №58 თბილისი ვაკე (480 მ) და №88 მანგლისი (1195 მ) მონაცემებით:

ქარის წნევა W_0		ქარის სიჩქარე					ნალექების რაოდენობა		თოვლის დატვირთვა P_0	ჩაყინვის სიღრმე H_6	ტემპერატურის აბსოლუტ. მინიმუმი	ტემპერატურის აბსოლუტ. მაქსიმუმი	ჰაერის საშ. წლიური ფარდობითი ტენიანობა
W5წ	W15წ	V1	V5	V10	V15	V20	საშ. წლიური	მაქს დღ/დ					
კგ/სმ ²	კგ/სმ ²	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მ/წმ	მმ	მმ	კგ/მ ²	სმ	გრად	გრად	%
38	48	21	24	26	27	28	560	147	50	0	-23	40	66
30	48	18	23	26	27	29	777	101	50	49	-28	35	72

ინჟინერ-გეოლოგი

გ. რაზმაძე

წინასწარული არქეოლოგიური კვლევა



წინასწარული არქეოლოგიური კვლევა

XII-XIII სს. მიჯნაზე აგებული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი ბეთანია მდებარეობს მდ. ვერეს ხეობაში, მის მარჯვენა ნაპირზე.

1) ნარატიულ წერილობით წყაროებში ბეთანიის ტაძრის შესახებ ცნობები ვახუშტი ბატონიშვილის ენციკლოპედიური ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ [თბილისი.1973 წ.;329,13-16]; ქართული სამართლის ძეგლებშიც მხოლოდ სპეციფიური ხასიათის ინფორმაციაა შემონახული.

2) ტაძრის შესახებ სპეციალური გამოკვლევა არ შექმნილა; მის შესახებ მსჯელობა მოცემულია განმზოგადებელ მონოგრაფიებში სხვა საკითხების განხილვისას [Brosset M. Voyage archeologique. V-e rapport, 2-e Livraison.SRB,189, გვ. 9; Иоселиани П. Описание древностей города Тифлиса.1866; გვ.78-80; Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства. Тифлис. 1873. გვ. 39,40; Цагарели Ал. Из поездки в Закавказский край.ЖМНП, ч. СКСIV. СПб. 1877. გვ. 226-231; Северов Памятники грузинского зодчества. М. 1948. გვ. 181; Алибегашвили Г. Четыре портрета царицы Тамары. Тбилиси.1951; ციციშვილი ი. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბილისი. 1955; ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია.თბილისი.1971; ზაქარაია პ. ქართული ხუროთმოძღვრება XI-XIII სს. თბილისი. 1990 წ. გვ. 57-72].

3) ბეთანიასა და მის შემოგარენში საერთოდ არ განხორციელებულა არქეოლოგიური კვლევა... აქ არ ვგულისხმობ სამაროვანს, რომელიც გაითხარა ტაძრის სამხრეთით 3 კმ-ზე [კიკვიძე ი., ჭილაშვილი. ადრეფეოდალური სამაროვანი ბეთანიასთან. „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბილისი. 1961. ტ. 22-B].

ფაქტობრივად, ხუროთმოძღვრული და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძეგლი ისტორიის გარეშეა... და ეს გარემოება, რბილად რომ ვთქვათ უცნაურია, თუნდაც იმიტომ, რომ ტაძრის ქტიტორებად გვევლინება სამეფო ოჯახის სამი თაობა - გიორგი III, თამარი და ლაშა გიორგი.

სამეფო ოჯახის პატრონაჟით კი განსაკუთრებული მნიშვნელობის საკულტო ცენტრი ამენდებოდა; ამასთან, უმეტესწილად, ამ რანგის სატაძრო ცენტრები „სტერილურ ტერიტორიაზე“ არ იგებოდა. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ამ ტერიტორიაზე სავარაუდებელია დღევანდელ ტაძარზე გაცილებით ადრეული ფენები.

ბეთანიის ტაძრის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში განხორციელებული ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვისა და კომპლექსური (არქეოლოგიურ-გეოლოგიური) სადაზვერვო შურფების ამოღების შემდეგ რამდენიმე საყურადღებო მომენტის დაფიქსირება მოვახერხეთ: 1) ძირითადი ტაძრის გარეთ დასავლეთის მხრიდან ზედაპირულად ფიქსირდება ნაგებობის ნაშთები (სურ.3,4,11,12), რომელიც შეიძლება გრძელდებოდეს ტაძრის სამხრეთი კედლის თითქმის ბოლომდე. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ნაგებობა ნაწილობრივ დაფარული იყოს ძირითადი

ტაძრის აგებისას; 2) ტაძრის სამხრეთით, მისგან 14 მ. დაშორებით, ფიქსირდება რამდენიმე ჩალრმავება, რაც გვავარაუდებინებს აქ გარკვეული არქეოლოგიური ფენების არსებობას. ჩვენი ვარაუდის შესამოწმებლად ნიადაგის ტენიანობის დასადგენი გეოლოგიური შურფებიდან ერთ-ერთის(N 1) გათხრა გადაწყდა სწორედ ასეთი ღრმულის ადგილას. მიწის ღღევანდელი ზედაპირიდან 0,6 სმ. გამოვლინდა ქვევრის პირი (სურ. 13,14). თუ ჩემი ვარაუდი სწორია და ნახსენები ღრმულებიც ქვევრებს ეკუთვნით, ტაძრის სამხრეთით გამართული ყოფილა საკმაოდ დიდი მარანი. ქვევრის გარდა, შურფის ამოღების პროცესში აღმოჩნდა შესაუკუნეების სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლისა და სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები (სურ. 23,24).

ეზოს ტერასის სამხ.-აღმ. კუთხეში დევს შესაუკუნეების ღროის რამდენიმე ქვევრი (სურ. 15), რომელიც ამოიღეს ამ ტერასის ძირში „ბაღჩის“ მოწყობის ღროს (სურ. 16); 3) ტაძრისა და „მარანს“ შორის დავაფიქსირეთ ორი წრე, რომელთა წარმომავლობა ამ ეტაპზე აბსოლუტურად გაუგებარია (სურ. 17,18); 4) ტაძრის სამხრეთით, მისგან 90-100 მ. მოშორებით, ფერდობის ჭრილში თვალნათლივ იკითხება ნაგებობების ნაშთები (სურ. 19).

ფიქრობ, ტაძრის წარსულის სრულფასოვანი გამოკვლევის მიზნით აუცილებელია აღნიშნული მონაკვეთების სრული არქეოლოგიური გამოკვლევა; მით უფრო, რომ აღნიშნული მონაკვეთები (ბუჩქნარი ფერდობის გამოკლებით) ექვემდებარება დადაბლებას.

ჩემი ღრმა რწმენით, არქეოლოგიური კვლევა უნდა განხორციელდეს შემდეგი თანამიმდევრობით: ა) სადაზვერვო შურფები; ბ) საინჟინრო-სადრენაჟო სისტემის შექმნის პარარელურად, უფრო ზუსტად, წინსწრებით ჩატარებული კვლევა; გ) საკონტროლო თხრილების საშუალებით მაქსიმალურად დიდი ფართობის გამოკვლევა, რაც მოგვცემდა საშუალებას ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი ხასიათის „თეთრი ლაქები“ დაგვეფარა გარკვეული ინფორმაციით.


ა) **საკონტროლო თხრილები** - ტაძრის ეზოს სამხრეთ ნაწილში, ნაგებობიდან 4-5 მ. და 13-14 მ. დაშორებით; ტაძრის ეზოს დასავლეთ ნაწილში, ბაზილიკიდან 2-2,5 მ. დაშორებით. არქეოლოგიური კვლევის აუცილებლობა გამოწვეულია იმითაც, XIX ს. მიწურულსა და XX ს. 70-იან წწ. ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ღროს გამოცვლილი არქიტექტურული დეტალები, კონკრეტულად სახურავის ლორფინების ნაწილი, ექსტერიერის ორნენტირებული ქვები და სხვ. გამოყენებულია ტაძრის გარშემოსავლელის მოსაწყობად, ნაწილი კი უბრალოდ გამომზერებულია დიდი და მცირე ტაძრების წინ; გათხრების პროცესში შესაძლოა სხვა რიგის არქიტექტურული ელემენტების აღმოჩენაც; თუმცა, მეტი საბუთიანობით ყველაფერ ამაზე მსჯელობა შესაძლებელი გახდება მიწის გარკვეული ფენის მოხსნისა და მისი საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ;

ბეთანიის სამონასტრო კომპლექსის კვლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება წარმატებულად თუ მოხდება ყველა სახის წყაროს გამოწვილვითი კვლევა და სრულყოფილი ანალიზი.


შესაბამისად, აღნიშნული კვლევის ჩატარება სცილდება წმინდა არქეოლოგიურ სფეროს; ფაქტობრივად, შესაძლებელი გახდება შეძლებისდაგვარად მაქსიმალური სიზუსტით აღვადგინოთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთები მაინც.

12. 11. 2013

დოქტორი თემურ ბიბილური



ბეთანია. გეგმა. ამოღებულია შ. ამირანაშვილის მონოგრაფიიდან „ქართული ხელოვნების ისტორია“.თბილისი.1971. გვ.253, ნახ.53



ბეთანია. გრძივი ჭრილი. ამოღებულია შ. ამირანაშვილის მონოგრაფიიდან „ქართული ხელოვნების ისტორია“.თბილისი.1971. გვ.253, ნახ.53



1-2. კარიბჭე




3. მთავარი ტაძარი. ხედი SW . წინა პლანზე ძველი ნაგებობის კვალი



4. მთავარი ტაძარი ხედი S- დან. ძველი ნაგებობის კვალი



5. ტაძრის SW კუთხე - შერევი N 1



6. ბაზილიკა ხელი SW-და. შერევი N 5,6



7. ტაძრის NW კუთხე - შურფი N 2



8. ტაძრის NW კუთხე - შურფი N 3



9. ტაძრის NW კუთხე არე მთავარ ტაძარსა და ბაზილიკას შორის. ხედი N-დან



10. მთავარი ტაძარი. ჩრდილო კედელი. ხედი NW- დან.



11-12. ტაძრის SW კუთხე- ძველი ნაგებობის ნაშთი



13-14. შერევი N 1



15



16



17



18



19



20

ნამოსახლარი



21



22

ნამოსახლარი



23,24. N 1 შურტუში აღმოჩენილი სამეთუნეო ნაწარმი

მოსაზრებები სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიისა და
ტექნოლოგიის განსასაზღვრად



სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის ტიპები და სახეობები

საუკუნეების მანძილზე ტაძრის ხანგრძლივი ექსპლუატაციის ფონზე პერიოდულად განხორციელებული ნგრევები, სტიქიური გადაკეთებები, თავდაპირველი სამშენებლო მასალებისაგან თვისობრივად განსხვავებული მასალით გამოყენებით განხორციელებული აღდგენები, მე-20 საუკუნეში ჩტარებული სარესტავრაციო სამუშაოები და სახვა გარემო ბუნებრივი თუ სტიქიური ფაქტორების ზემოქმედება (ატმოსფერული ნალექები, ტემპერატურული რეჟიმის ცვალებადობა, მიწისძვრები,...) ცალსახად განაპირობებს ბეთანიის ეკლესიის დეტალური ტექნიკური გამოკვლევის აუცილებლობას.

ტექნიკური კვლევა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით.

აუცილებელია ბზარებისა და დაზიანებების დატანა დეფორმაციული სურათის ნათლად წარმოდგენის მიზნით ხოლო მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება. ისეთი კონსტრუქციული და არქიტექტურული აღდგენა გამაგრებითი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც არ დაარღვევს ავთენტურობის პრინციპებს.

ზემო აღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე ბეთანიის ეკლესიის დაზიანებათა აღმოფხვრისა და მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის წინასწარული კვლევით განისაზღვრა შემდეგი სამუშაოების ჩატარება :

I) **ხარაჩოს მონცობა**

- შენობის ყველა ფასადზე და ინტერიერში ინვენტარული ხის ხარაჩოს მონცობა
- აუცილებელია ძეგლის დროებითი გადახურვის მონცობა

II) **კედლის მხატვრობის დროებითი გამაგრება**


- ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს კედლის მხატვრობის დროებითი გამაგრება წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული რაიმე გართულება.

III) **ძველი იატაკის შეცვლა**

- უნდა მოხდეს ძველი უსახური იატაკის შეცვლა ახალი ქვის იატაკით.

IV) **დაძრული ქვების ჩაანკერება**

- საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაძრული ქვების ჩაანკერება მასალად შესაძლებელია გამოყენებული იქნას მეტალის ან მინის ბოჭკოვანი ანკერები (ზემოხსენებული მეთოდი არის ერთერთი ყველაზე თანამედროვე და ამავდროულად გამოცდილი ხერხი.



მინაბოჭკოს არმატურა

V) **ეკლესიის არსებული სახურავის დემონტაჟი და ახლის მონცობა**

- უნდა მოხდეს არსებული თუნუქის სახურავის დემონტაჟი ზედმეტი დუღაბის ფენის მოშორება და გაწმენდა.
- ნაგები უნდა გადაიღეს კირ-დუღაბის ხსნარით და მოეწყოს ახალი სახურავი ფენილით.

VI) **ეკლესიის კარებებისა და ფანჯრების შეცვლა ახლით**

- უნდა შეიცვალოს ეკლესიის კარებები და ფანჯრები ახალი ლიობები უნდა იქნას დამზადებული შედგენილი მუხის ხისაგან (შედგენილი მუხის ხის მასალა დამუშავებულია ქარხნულად და გამორიცხავს შემდგომ დეფორმაციებს მასალა არის სტანდარტულად მაღალი ხარისხის რადგან ტექნოლოგიური ხაზი არის სრულიად ავტომატიზებული).



შედგენილი ხის კონსტრუქცია (აქსონომეტრიული ხედი და ჭრილი)

VII) შოვების ამოგოზვა

- შოვების გამოსუფთავდეს დაზიანებული დუღაბისაგან და ამოიგოზოს ახლიდან ხირ-დუღაბის ხსნარით.

VIII) ბიოლოგიური კვლევა და პრევენცია

- ბიოლოგიური კვლევის შედეგად უნდა განისაზღვროს ბიოლოგიური აგენტების ტიპები და შემუშავდეს დაცვის მეთოდოლოგია, ხოლო პროექტის საფუძველზე მოხდეს პრობლემის გადანაცვება.

IX) გენ-გეგმის შედგენა

- პროექტირების ფარგლებში უნდა მოხდეს ბეთანიის კომპლექსის სრული გენ-გეგმის შედგენა, ინფრასტრუქტურული დაგეგმვა რომლის მიზანია სასულიერო და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

X) ძეგლის კონსტრუქციული გამაგრება

- ზუსტი კონსტრუქციული პროექტის შესადგენად საჭიროა ძეგლის სრული შესწავლა ტექნიკურ-ვიზუალური კვლევის შედეგად არ შეიმჩნევა ნაგებობის ჯდომა, დაძრული ქვების ჩამაგრება და ბზარების ჩაანკვრება უნდა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული მეთოდის მიხედვით, მეთოდი შეუშავებული უნდა იქნას ძეგლზე ხანგრძლივი ვიზუალური დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით.

XI) გათბობა, ტენიანობის რეგულირება და კლიმატ-კონტროლის სისტემები


- ძეგლის გამართული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, ასევე საქართველოში ერთერთი უნიკალური კედლის მხატვრობის ბუნებრივი პრობლემებისაგან დასაცავად (ნესტი, ტემპერატურის ცვალებადობა) აუცილებელია ეკლესიაში გათბობა, კონდიციონერა კლიმატ-კონტროლის სისტემების მონტაჟი, აღნიშნული პროექტი შედგენილი უნდა იყოს კედლის მხატვრობის სპეციალისტებთან კოლაბორაციული მუშაობით. კლიმატ-კონტროლის მეთოდოლოგია უნდა შეირჩეს წინასწარი ტენიანობის მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე მეთოდი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. წინასწარული შეფასებით შესაძლებელია ამ პრობლემის იატაკქვეშა სისტემის მეშვეობით გადაჭრა.

მთავარი არქ-რესტავრატორი: თ.გაბუნია

კონსტრუქტორი: დ. რამიშვილი

სტუდენტ-პრაქტიკანტი: გ. ტრაპაიძე

д. 1:500



საკონკურსო წინადადება, საპროექტო ხარჯთაღრიცხვა და აფიდავიტი



საკონკურსო წინადადება და საკონკურსო

წინადადების ფასი





საკონკურსო განაცხადი

ბეთანიის ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს:
24970 ლარს.

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა



ბეთანიის ეკლესიის რეაბილიტაციის
 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
 მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება
1	განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა)	800
2	სისტემატიზირებული ფოტომასალა	800
3	ტაძრის არსებული არქიტექტურულ- არქეოლოგიური ანაზომების კორექტირებისა და სრულყოფის საველე სამუშაოები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები: გეგმა, ჭრილები, ფასადები, არქიტექტურული დეტალები)	2000
4	არსებული არქიტექტურულ- არქეოლოგიური ანაზომების დაზუსტება და სრულყოფა რეალური მდგომარეობის ასახვითა და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანით და გამოხაზვა-დამუშავებით; (ლოკალურ დაზიანებათა დატანით ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით); მასშტაბში გამოხაზული ნახაზები: გეგმა, ჭრილები, ფასადები, – მ. 1:50, არქიტექტურული დეტალები – მ. 1:25, 1:20, 1:10; საჭიროების შემთხვევაში შაბლონები – მ. 1:1	3000
5	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	800

6	ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის წინასწარული კვლევა	1800
7	ენდოსკოპიური დაზვერვა(საშენი მასალის შემავსებლის მდგომარეობის განსაზღვრა ენდოსკოპის საშუალებით)	800
8	ბიოლოგიური აგენტების ანალიზი	1000
9	საშენი მასალის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზი	1000
10	პროექტის არქიტექტურული ნაწილი	5000
11	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2000
12	გათბობა-კონდიციონერება კლიმატკონტროლის სისტემების გადანაცვება, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება, მუშა პროექტი	2200
13	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით	800
14	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა	700
	სულ ხარჯი	22700.0
	ზედნადები ხარჯები 10%	2270.0
	სულ თანხა	24970.00

გამგეობის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძე

სამუშაოები განხორციელდება II ეტაპად, სამუშაოების ჩატარების ბოლო ვადაა 2014 წლის 3 ნოემბერი.



აფილავიტი



აფიდავითი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ აფიდავითში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ,

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავითს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავითის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მოწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

გავეცანი ან აფიდავითის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

საბელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის აფიდავითი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერა, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავითით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.